ბრძანება:**ბ80.0120261001**

თარიღი:**17/09/2020**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„თბილისის განვითარების ფონდი“

დირექტორის ბრძანება

ხელმოწერის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ

ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 16 ივლისის N20.01.964 დადგენილებით დამტკიცებული ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ წესდების მე-6 მუხლის 6.4.3 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილეს, **ოთარ ღლონტს,** მიენიჭოს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ფარგლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოს (თანმდევი საქონლის, მომსახურების შესყიდვის ჩათვლით) მიღების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტებზე, ასევე შიდა და გარე კორესპონდენციის ხელმოწერის უფლებამოსილება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც არ წარმოშობს სახელშეკრულებო ურთიერთობას:

   ა) მუნიციპალურ ლაბორატორიაში წარსადგენი კორესპონდენციის თაობაზე;

   ბ) პროვაიდერ კომპანიებთან წარსადგენი კორესპონდენციის თაობაზე;

   გ) სამშენებლო კომპანიებისთვის საინფორმაციო ხასიათის კორესპონდენციის თაობაზე.

2. ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილეს, **გიორგი ტვილდიანს**, მიენიჭოს ვებგვერდზე www.tas.ge ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ სახელით რეგისტრაციისა და ავტორიზაციის საფუძველზე, ელექტრონული რესურსის გამოყენებით განაცხადებების წარდგენისა და გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, ასევე სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ფარგლებში საპროექტო მომსახურების (მათ შორის, დიზაინერული, დაგეგმარების, სარჯთაღრიცხვის, არქიტექტურული, საინჟინრო გეგმები ან პროექტები) მიღების მიზნით, მიღება-ჩაბარების აქტებზე, აგრეთვე შიდა და გარე კორესპონდენციის ხელმოწერის უფლებამოსილება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც არ წარმოშობს სახელშეკრულებო ურთიერთობას:

   ა) უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში წარსადგენი სამშენებლო -სარეაბილიტაციო სამუშაოების ნებართვასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე;

   ბ) პროვაიდერი კომპანიებისგან თანხმობის მოთხოვნის თაობაზე;

   გ) პროექტანტებთან სხვადასხვა სახის კორესპონდენციის წარმოების თაობაზე;

3. ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილეს, **გიორგი მაჭავარიანს,** მიენიჭოს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებული შიდა და გარე კორესპონდენციის ხელმოწერის უფლებამოსილება:

ბ) შესყიდვების სააგენტოსთან კორესპონდენცია ბაზრის კვლავის თაობაზე;

გ) საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;

4. ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილეს, **გიორგი ებანოიძეს,** მიენიჭოს ბენეფიციარებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებების, ასევე შემდეგ საკითხებთან დაკავშირებული შიდა და გარე კორესპონდენციის ხელმოწერის უფლებამოსილება:

ა)სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, ბენეფიციარებთან საინფორმაციო შინაარსის კორესპონდეციის წარმოების თაობაზე;

ბ)სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე;

გ)მოქალაქეებთან სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო ხასიათის კორესპონდეციის წარმოების თაობაზე, გარდა ფინანსური და საჯარო ინფორმაციის გაცემისა;

დ)კორესპონდენცია, რომელიც ახდენს ფაქტის კონსტატაციას და არ არის დაკავშირებული განსახილველად წარმოდგენილი პრობლემური საკითხის გადაწყვეტისთვის;

ე) სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებისთვის და ორგანიზაციებისთვის ინფორმაციის შეტყობინებისა და მათგან გამოთხოვის თაობაზე;

ვ) ფონდის საკუთრების უფლების წარმოშობასთან დაკავშირებულ სარეგისტრაციო კორესპონდენცია;

5. ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ დირექტორის მრჩეველს, **რუსუდან სვანიძეს,** მიენიჭოს ვებგვერდზე www.tas.ge ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ სახელით რეგისტრაციისა და ავტორიზაციის საფუძველზე, ელექტრონული რესურსის გამოყენებით განაცხადებების წარდგენისა და გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება.

6. ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ ადმინისტრაციის უფროსს, **ბაკურ დარსალიას**, მიენიჭოს სატელეფონო, ფიჭური-საკომუნიკაციო, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის (eDocument) მომსახურებების, შპს „საქართველოს ფოსტისა“ და თანამშრომელთა დაზღვევის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერის უფლებამოსილება;

7. ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროს სპეციალისტს, **ნინო როსტიაშვილს**, მიენიჭოს ბანერების, სურათების, რენდერების/ფოტომასალის მომზადებისა და სხვა ბეჭდვითი მომსახურებების მიღების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერის უფლებამოსილება. ნინო როსტიაშვილი, ასევე უფლებამოსილია, საინფორმაციო სააგენტოებთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტებს.

8. ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ სამეურნეო უზრუნველყოფის უფროს სპეციალისტს, **გიორგი ცერცვაძეს,** მიენიჭოს მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერის უფლებამოსილება შემდეგ საკითხებზე:

ა) ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გასაწევი მომსახურებების (მათ შორის, დაზღვევა) მიღება;

ბ) საკანცელარიო-სამეურნეო დანიშნულების ნივთებისა და საშუალებების მიღება;

გ) საიჯარო ქონების სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

9. ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ პროგრამის მენეჯერს, **დევი კახოიძეს,** მიენიჭოს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ფარგლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოს (თანმდევი საქონლის, მომსახურებისშესყიდვის ჩათვლით) მიღების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერის უფლებამოსილება;

10. ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ პროგრამის მენეჯერს, **ჯაბა დავლიანიძეს,** მიენიჭოს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ფარგლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოს

აქტებზე ხელმოწერის უფლებამოსილება;

11. ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ პროგრამის მენეჯერს, **დიმიტრი ტატინაშვილს,** მიენიჭოს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ფარგლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოს (თანმდევი საქონლის, მომსახურების შესყიდვის ჩათვლით) მიღების მიზნით მიღება ჩაბარების აქტებზე ხელმოწერის უფლებამოსილება;

12. ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ პროექტირებისა და სანებართვო უზრუნველყოფის სამსახურის სანებართვო უზრუნველყოფის უფროს სპეციალისტს, **მაკა ოდიგაძეს,** მიენიჭოს ვებგვერდზე www.tas.ge ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ სახელით რეგისტრაციისა და ავტორიზაციის საფუძველზე, ელექტრონული რესურსის გამოყენებით განაცხადებების წარდგენისა და გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება;

13. ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ მოსახლეობასთან ურთიერთობის სამსახურის ტექნიკური უზრუნველყოფის უფროს სპეციალისტს, **მამუკა ღვინიაშვილს,** დაევალოს ავეჯის გადაზიდვის შესახებ მოხსენებითი ბარათების მომზადება შესაბამისი ინფორმაციის საფინანსო სამსახურისათვის პერიოდულად მიწოდების მიზნით (კალენდარულ თვეში არანაკლებ ერთხელ) და მიენიჭოს ტვირთის გადაზიდვისა და შენახვის მომსახურებების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერის უფლებამოსილება;

14. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ დირექტორის 2020 წლის 4 აგვისტოს №80.0120217001 ბრძანება.

15. წინამდებარე ბრძანება ამოქმედდეს მისი ხელმოწერისთანავე.

ალექსანდრე ტოგონიძე

ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი